

ვაზის ჯვრის ისტორიიდან

საქართველოს ეკლესიის უძვირფასესი სიწმიდისა და ქართული ქრისტიანული კულტურის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სიმბოლოს – ვაზის ჯვრის ისტორია დღეს რამდენადმე გარკვეულად ითვლება. ჩვენი ყურადღება მიიპყრო მის შესახებ გადმოცემაში არსებულმა ზოგიერთმა წინააღმდეგობამ, რომელთა შესახებაც წინამდებარე ნაშრომში გვექნება საუბარი.

ვაზის ჯვრის შესახებ არსებული ცნობების ურთიერთმიმართების გასარკვევად საჭიროდ ჩავთვალეთ მათი შემდგენაირად დაჯგუფება:

1. ვაზის ჯვართან დაკავშირებული გადმოცემები ქართულ მწერლობასა და საეკლესიო ტრადიციაში;
2. ქართული ჯვრის შესახებ სომხურ წყაროებში შემონახული თხრობანი;
3. სომხურ წყაროებში დადასტურებული ცნობების გამოძახილი XIX საუკუნის ქართულ მეცნიერებაში.

ვაზის ჯვრის შესახებ არსებულ გადმოცემაში განსაკუთრებულ სირთულეს ქმნის წმ. ნინოს ჯვრის აღრევა სხვა ჯვრებთან, რის გამოც წინამდებარე გამოკვლევაში საგანგებო ყურადღება იმ ტექსტებს მიექცა, სადაც უშუალო მითითება გვაქვს სწორედ ვაზის ჯვრით წმ. ნინოს მისიონერული მოღვაწეობის შესახებ ქართლში.

წმ. ნინოს ჯვრის შესახებ ცნობის შემცველი უძველესი წყარო არის „მოქცევაჲ ქართლისაჲ“. იგი მოგვითხრობს, რომ მცხეთაში ჩამოსულმა წმიდა ნინომ „შექმნა სახმ ჯუარისაჲ, ნასხლევისაჲ“¹. მეორე ვერსიით, რომელსაც წმიდა ნინოს მეტაფრასულ „ცხოვრებაში“ ვხვდებით, ჯვარი ღმრთისმშობელმა გადასცა საქართველოსკენ წამოსასულელად გამზადებულ კაპადოკიელ ქალწულს². ამ ჯვრით განკურნა წმიდა ნინომ ნანა დედოფალი³, მირიანის ნათესაეი, მოგეტუხუცესი-სპარსი ხუარა⁴, მოაქცია ქართლი⁵; ლოგიკურად მოიაზრება სწორედ ეს ჯვარი ნინოს მიერ მთიელთა მოქცევისას და ა.შ.

მცხეთის მთაზე ჯვრის აღმართვის შემდეგ „ჯუარი იგი ვაზისაჲ, რომელ მოიღო წმიდამან ნინო ჴელისაგან ყოვლად წმიდისა ღმრთის-მშობელისა“,

¹ ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I, დასაბუჯდად მოამზადეს ილ. აბულაძემ, ნ. ათანელიშიილმა, ნ. გოგუაძემ, ლ. ქაჯაიამ, ც. ქურციკიძემ, ც. ჭანკიევმა და ც. ჯღამაიამ, ილ. აბულაძის ხელმძღვანელობით და რედაქციით, თბ., 1963, გვ.84.

² ძველი ქართული..., წიგნი III, თბ., 1971, გვ.17.

³ „და მოიღო ჯუარი იგი, რომელი აქუნდა, შეახო თავსა, ფერჯთა და მჯართა ჯუარის სახედ, და მეყსეულად განიკურნა, და აღღგა განცოცხლებული“ (იხ. ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით, ტ. I, თბ., 1955, გვ.104).

⁴ „და აწ მე მთავარი ესე უენი განეკურნო ძალითა ქრისტეს ღმრთისა ჩემისათა და ჯუარითა ენებისა მისისათა, ვითარცა დედოფალი განეკურნე სენისაგან დიდისა“ (იხ. იქვე, გვ.108).

⁵ „და გამოაჩინა ჯუარი იგი ნასხლევისა, და მით იქმოდა საკურელებათა დიდთა. რამეთუ განრღუეულნი განკურნის თუნიერ წამლისა, შეხებითა ჯუარისათა“ (იხ. იქვე, გვ.102).

ჩაუსვამთ „ჯვარსა მას შინა, რომელ დაასუენეს ჯუარსა პატიოსანსა“⁶.

უკანასკნელად ვაზის ჯვარი მირიანთან ჩანს, როდესაც გარდაცვალების წინ მეფე მოუხმობს შვილს – ბაქარს, მოატანიებს წმინდა ნინოს ჯვარს, „რომელი პირველითგან აქუნდა“, მასზე დაკიდებს სამეფო გვირგვინს და ასე ნინოს ჯვრით მადლმოსილი გვირგვინით უფლისწულს მეფედ აკურთხებს⁷. აქედანვე ჩანს, რომ ნინოს ჯვარი უკვე სამეფო ოჯახში ინახება⁸.

ამის შემდეგ, რამდენიმე საუკუნის მანძილზე, ქართულ წყაროებში რაიმე ცნობა წმ. ნინოს ჯვრის შესახებ არ ჩანს. კვლავ ახსენებენ მას მხოლოდ XVIII-XIX საუკუნეების საისტორიო თხზულებებში უკვე მტკიცედ შემუშავებული შესიტყვების – „ჯვარი ვაზისას“ სახით. ამ თხზულებების მიხედვით იგი ძნელბედობათა გამო სხვადასხვა დროს გერგეტის სამებასა და ანანურის ღმრთისმშობლის მიძინების ტაძრებში ინახებოდა⁹.

თეიმურაზ ბაგრატიონი აღნიშნავს, რომ 1749 წელს ვაზის ჯვარი „მოიპარა და წარიღო რუსეთად, არშას ციხით, მთავარეპისკოპოსმა რომანოზ, არაგვის ერისთვის ძემან“¹⁰; რომანოზმა იგი იმუამად მოსკოვში მყოფ უფლისწულ ბაქარს გადასცა. რუსეთში წმიდა ნინოს ჯვარი ნიჟეგოროდის გუბერნიის სოფელ ლისკოვოში ინახებოდა, ქართველი თავადების სამფლობელოში. თეიმურაზ II, ერეკლე II და გიორგი XII ცდილობდნენ დაებრუნებინათ იგი საქართველოსთვის, მაგრამ მოსკოვში მყოფი ქართველები უარს ამბობდნენ მის საკუთარ ქვეყანაში გადმოგზავნასზე.

1800 წელს ბაქარის შვილიშვილმა გიორგიმ იგი ახლად აღსაყდრებულ იმპერატორ ალექსანდრე I-ს მიართვა¹¹. ხოლო ვაზის ჯვრის მომლოდინე ქართველები იძულებულნი გახდნენ უკვე რუსეთის იმპერატორისთვის მიემართათ თხოვნით, დაებრუნებინა საქართველოსთვის კუთვნილი სიწმინდე.

კვლავ თეიმურაზი მოგვითხრობს, რომ ამ დროს უმეფოდ დარჩენილი ჩვენი ქვეყანა უმძიმეს ვითარებაში იყო. რუსეთის იმპერატორმა საქართველოში გენერალი კნორინგი წარმოგზავნა. ქართლში 10 000 რუსი ჯარისკაცი იდგა. 1801 წელს ქართლ-კახეთი რუსეთის იმპერიის შემადგენელი ერთ-ერთი გუბერნია გახდა.

1802 წელს კნორინგი ისევ დაბრუნდა თბილისში და აქ პირველი მმართველი ჩამოიყვანა. ამ უკანასკნელმა საქართველოში გამომგზავრებამდე იმპერატორს წერილი მისწერა, რომელშიც მას მოკლედ მოახსენებდა ქართველთა

⁶ ძველი ქართული ... III, გვ.75.

⁷ ქართლის ცხოვრება, გვ.130.

⁸ თითქმის ყველა მკვლევარი (იხ. პ. იოსელიანი, მ.ტყემალაძე, დ. ბაქრაძე, ა. ნატროშვილი, მ. კელენჯერიძე და ა.შ.) ერთხმად აღნიშნავს, რომ ვაზის ჯვარი სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძარში ინახებოდა. ამგვარი რამ ქართული წყაროებით არ დასტურდება. ჩვენი აზრით, უფრო მართებული იქნებოდა გვევარაუდა, რომ იგი დააბრძანეს ან ჯვრის მონასტერში (იხ. ძველი ქართული... III, გვ.75.), ან სამთავროში, სადაც წმ. ნინოს მკვლელობის იყო და რომელსაც თვით სამეფო ოჯახი სცემდა უდიდეს პატივს. ამ მოსაზრებას მხარს უჭერს ის ფაქტიც, რომ მოგვიანებით აქ მირიანმა ტაძრის მშენებლობა დაიწყო, ამისი საფუძველი კი სიწმიდეს უნდა მიეცა, რომელიც იქ ინახებოდა (იხ. ძველი ქართული... I, გვ.160.).

⁹ П. Иоселиани, Описание древностей города Тифлиса, Тифл., 1866, გვ.123.

¹⁰ თეიმურაზ ბაგრატიონი, ახალი ისტორია, საქართველოს ისტორიის წყაროები, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და საძიებლები დაურთო ლელა მიქიაშვილმა, თბ., 1983, გვ.68

¹¹ П. Иоселиани, დასახ. წიგნი, გვ.124-125.

გაქრისტიანებისა და წმიდა ნინოს ჯერის ისტორიას და მიზანშეწონილად მიიჩნევა მის საკუთარ სამშობლოში დაბრუნებას.¹² იმპერატორი დათანხმდა: «Да чудесная сила креста сего исцелит безчисленные раны мятежем и внутренними раздорами нанесенные и да благодать Вышняго увенчает успехами намерение и подвиги наши во спасение народа Грузинскаго, в славу его и в преуспяние предприятия». ¹² (ხაზგასმა ქ.ა.) – პასუხობდა იგი კნორინგს, რომლისთვისაც გასაგები იყო ამ პასუხის ნამდვილი არსი.

მალე ქართველი ხალხი ვაზის ჯვარს დიდი სიხარულით შეხედა. მისი საქართველოში შემობრძანება მთავარსარდალ კნორინგის მიერ საგანგებოდ მოფიქრებული ცერემონიით შედგა და განსაკუთრებული პომპეზურობით გამოირჩეოდა. რუსული ჯარის ნაწილის თანხლებით ქართლის ჩრდილოეთის საზღვრებიდან, ვიდრე თბილისამდე, სასეიმო შეხვედრის და მსვლელობის შემდეგ იგი სიონის ტაძარში დაასვენეს ჩრდილო-აღმოსავლეთით, საკურთხეულის აფსიდთან არსებულ მარცხენა სექტთან¹³ (სადაც ის დღესაც არის დაბრძანებული). თბილისის მოსახლეობა განძის დაბრუნებას ზეიმობდა. საგანგებოდ ჯერის ჩამობრძანების აღსანიშნავად ჩატარებულ ღმრთისმსახურებაზე, სრულიად მოულოდნელად კნორინგმა ალყა შემოარტყა სიონს და თავადაზნაურობას რუსეთის ერთგულებაზე იძულებით დაადებინა ფიცი. მიზნის მიღწევის შემდეგ მან საქართველოში კოვალენსკი დატოვა, თავად კი უკან დაბრუნდა, რუსეთში¹⁴. ამგვარია ვაზის ჯერის შესახებ ქართული წყაროებითაც დადასტურებული ინფორმაცია.

XIX საუკუნიდან ჩნდება ცნობა, რომ ვაზის ჯვარი საუკუნეების მანძილზე საქართველოს ფარგლებს გარეთ, სომხეთში ინახებოდა. ამ ცნობამ ქართველ მკვლევართაგან პირველად პლატონ იოსელიანთან გაიუღერა. მეცნიერმა მცირე გამოკვლევა ჩაატარა ნინოს ჯერის შესახებ და აღნიშნა, რომ სომხური წყაროების მიხედვით თითქმის რვა საუკუნის მანძილზე ვაზის ჯვარი მეზობელ ქვეყანაში მოგზაურობდა¹⁵. ეს დაუზუსტებელი ცნობა, რომელიც სვენში გაერცვლდა და

¹² იქვე, გვ. 130.

¹³ М. Ткемаладзе. Сионский кафедральный собор, Тифл., 1904, გვ. 31.

¹⁴ თეიმურაზ ბაგრატიონი, დასახ. ნაშრომი, გვ.68.

¹⁵ П. Ис хлиани, დასახ. ნაშრ. გვ.121-123. უფრო დაწერილებით, მეცნიერი აღნიშნავს, რომ 458 წელს ცეცხლთაყვანისმცემელთაგან ქრისტიანთა დევნის გამო, წმ. შუშანიკის დაეალებით კრმა ანდრიამ ვაზის ჯვარი მცხეთიდან ტარონში წაიღო და იქ, მოციქულთა საყანეში დააბრძანა (სომხები მაშინ ამ საყანეს ლაზარეს ტაძარს ეძახდნენ), აქედან ჯვარი სპერში მოხვდა, სადაც კარგა ხანი ინახებოდა; შემდეგ – კაპოეტის ციხეში, მერე – ვანანდს. ქართველ-სომეხთა განხეთქილების შემდეგ, სომხეთის პატრიარქი, ნერსეს III ტაიქის (ტაო) მხარეში დასახლდა და წმ. ნინოს ჯვარი დპროვანქიდან – შირაკის მხარის მთიდან ალთამარში გადააბრძანა. ამ პერიოდში ჯვარმა ჯოჯიკისას სახელწოდება მიიღო. აქედან, იმავე ჯოჯიკის გეარის ჩამომავალმა ეინმე სარგისმა წაიღო. კარგა ხნის გაურკვევლობის შემდეგ, ჯვარი ისევ უბრუნდება ვანანდს, რომელიც ამის მერე სამჯერ გაძარცვეს მტრებმა. კათოლიკოსმა ბასილიმ კელაე იპოვა იგი და თავის ტაძარში დააბრძანა. საერთო ჯამში სომეხი, ისტორიკოსები შემდეგს აღნიშნავენ: ვაზის ჯვარი მცხეთაში იყო 175 წელი; კაპოეტის ციხესა და ვანაკში – 459 წელი; ყარსში – 164, ხოლო მისი მცხეთიდან გატანიდან ვიდრე ანისამდე განულო 798-მა წელმა. თვით ანისში იგი 142 წელი იყო. სომხურმა ეკლესიამ ანისში ჯერის დაბრძანების დღეს მისი ხსენება დააწესა. სომხეთის პატრიარქების გრიგოლის, ეკაიასერის და ბარსელის დროს მონღოლეთის მხედართმთავრის ჩარმაგანის მიერ ანისის ალების შემდეგ, 1239 წელს, მეფე რუსუდანმა და ქართველმა ეპისკოპოსებმა გამოსთხოვეს მონღოლებს ქართველთა კუთვნილი ჯვარი. მეფეებმა შეამკეს იგი და ისევ სვეტიცხოველში დააბრძანეს.

კარგა ხნის მანძილზე უცილობელ ჭეშმარიტებად ითვლებოდა, გაიმეორა ყველა იმ მკვლევარმა, რომელიც მას შემდეგ ეაზის ჯვრის ისტორიას შეეხო (დ. ბაქრაძე, ა. ნატროშვილი, მ. ტყემალაძე, კათოლიკოს-პატრიარქი კირიონი, მ. კელენჯერიძე), მაშინ, როცა ასეთ აზრს არ ადასტურებს არც ერთი ქართული თუ უცხოური წყარო, არ არსებობს ლიტერატურული თხზულება, რომელიც ასე თუ ისე გაიზიარებს მას. ის არ ფიქსირდება არც XVIII-XIX საუკუნეებში წარმოებულ მიმოწერაში, რომელშიც საქართველოს მხარე ცდილობს აუხსნას ამა თუ იმ პირს ჯვრის ისტორია და მისი მნიშვნელობა ქართველი ერისთვის.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, აუცილებელი გახდა იმ სომხური წყაროების გადასინჯვა, რომლებზე დაყრდნობითაც გაერცვლდა ეს შეხედულება.

სომეხ ისტორიკოსს, მიქაელ ჩამჩიანს, თავმოყრილი აქვს სხვადასხვა ჯვრის შესახებ სომხურ წყაროებში გაბნეული თხრობებისათვის (პაცუნიაცის, ციციერნის, სიუნიაცის, ვარაგის, აბარანის...) ¹⁶, რომელთაგან ორის სახელწოდება მის ქართულ წარმოშობაზე ან საქართველოსთან კავშირზე მიუთითებს: „ჭონიაცის“, ანუ „ვარძიის“ და „ნინოსი“. ორივე თხრობა მეტად საინტერესოა და ჩვენთვის საყურადღებო.

წმ. ნინოს ჯვარზე საუბრისას მ. ჩამჩიანი თავის ძირითად წყაროდ აპარონ ვანანდეცს, ვარდან არეველცის და ვანაკან ვარდაპეტს ასახელებს. ყველაზე ადრინდელი ამათგან ვანანდეცია, IX (X) საუკუნის სომეხი ისტორიკოსი. ამ საკითხზე მომუშავეებისათვის სწორედ მისი თხრობაა ძირითადი საყრდენი. იგი სამი ნაწილისაგან შედგება: ა) მცხეთაში ჯვრის აღმართვა ბ) შუშანიკის წამება; გ) ჯვარი სომხეთში და მისი შემდგომი ისტორია. ვანანდეცივე აღნიშნავს, რომ მან საკუთარი თხრობა სხვადასხვა ქართული და სომხური წყაროების შეჯერებით შეადგინა ¹⁷ და მართლაც, მისი პირველი ნაწილი სიტყუასიტყვით იმეორებს მოვსეს ხორენაცისთან წარმოდგენილ მონაკვეთს ქართლში ქრისტიანობის გამარჯვების ნიშნად ჯვრის აღმართვის შესახებ ¹⁸, ოღონდ იმ

¹⁶ Л. М. Меликсет-Бек, История креста Нины (К проблеме Моисея Хоренского), «Известия», №9 (14), 1941, Ереван, стр. 59.

¹⁷ მცხეთაში ჯვრის აღმართვას და მის უდიდეს მნიშვნელობას ხაზს უსვამენ როგორც ქართული, ისე სომხური წყაროები. ქართლში ქრისტიანობის სახელმწიფო სარწმუნოებად მიღების აღსანიშნავად ამ ჯერების აღმართვა ეტყობა მარტო ქართლში არ იდღესასწაულებოდა. ეს ზემოთ საკმაოდ ფართო გეოგრაფიულ არეალს მოიცავს (ამის შ-1 ებ ის. ქვემოთ); უკვე VI ს-ის II ნახევარში აქ ჯვრის მონასტრის აგება ივარაუდება. ხოლო ი ხშირ ან მცირე ზომის სალოცავი საეპარაულოდ მანამდეც იქნებოდა კლდეზე სასწაულებრივი ჯვრის აღმართვისთანავე.

¹⁸ მოვსეს ხორენაცი იუწყება, რომ „ქართველთა განმანათლებელმა მოსკო ჭექა-ქუხილის – არამაზდის ქანდაკება, რომელიც ქალაქისაგან განცალკევებით, დიდი მდინარის მეორე მხარეს იდგა. დილაობით ყველა სცემდა მას თაყვანს სახლთა სახურაეებიდან, საიდანაც სახით ჩანდა იგი; თუ ვინმეს მსხვერპლის შეწირვა სურდა, მდინარეზე გადადიოდა და იქ ბორონის წინ ასრულებდა ამას.

კერძის განადგურების შემდეგ ქალაქის დაბნეული დიდებულები აღსდგნენ ნუნეს წინააღმდეგ, ვინაიდან აღარ უწყოდნენ, კერპთა ნაცულად თაყვანი ვისთვის ეცათ. ნუნემ მიუთითა მათ ქრისტეს ჯვრის გამოსახელებაზე. (ხაზგასმა ქ. ა.). მაშინ შექმნეს და აღმართეს ჯვარი შესაფერ ქალაქის აღმოსავლეთით მდებარე ბორცვზე, რომელსაც მისგან შედარებით პატარა მდინარე გამოჰყოფდა. განთიადისას, თითოეული სახლის სახურაეიდან კელაეინდებურად ეველა მთაყვანი სცა მას. მაგრამ როცა ბორცვზე ასულებმა დაინახეს გათლილი ხე და არა ოსტატთა ნახელაეი, უმრავლესობამ არაფრად ჩააგდო ის და თქვეს, რომ ასეთებით სავსეა მათი ტყეები. ისინი გაეცალნენ იქაურობას. მაშინ ცით ღრუბლის

განსხვავებით, რომ ვანანდეცი ამ ჯვარს თავის „ისტორიაში“ ნინოსას უწოდებს. ამგვარი ტენდენცია (ჯერისთვის წმ. ნინოს სახელის დარქმევის) უკვე მისი „ისტორიის“ ამ ნაწილის სათაურიდანვე ჩანს: მატენადარანის, ანუ როგორც დღეს უწოდებენ, ვანანდეცის ნუსხის სათაურია “მოთხრობა ნინოს ჯერისა, რომელსაც ეხლა ვანანდისა ეწოდება, მამისა აპარონ ვანანდეცისა, წმიდა ლეონტიელთა შთამომავლისა, იჯუეანის დაბიდან, რომელიც ვანანდს არის, ფრიადი შრომითა და ძიებით გამოკვლეული სომეხთა და ქართველთა მრავალმატიანეთაგან, – მცხეთის წმიდა ჯერისათვის, რომელიც ეხლა იმყოფება სვენთან ჯვარცმული ქრისტეს მოხილვით”¹⁹. მეორე და მესამე ნაწილად კი უმატებს სხვადასხვა წყაროდან მოპოვებულ ორ თხრობას: თუ როგორ მოხვდა „ნინოს ჯვარი“ შუშანიკთან, შემდეგ სომხეთში, სადაც IX (X) საუკუნეში, ანუ ისტორიკოსის სიცოცხლეშიც, ჯერ კიდევ ვანანდს იყო დაბრძანებული. ვანანდეცის მიხედვით ჯერის მოგზაურობის მარშრუტი ასეთია: ცურტავიდან თავდაპირველად იგი მიაქვთ პარხლის მთებისკენ, შემდეგ ტარონში, ტარონის შემდეგ ხედება სპერში, მერე კაპოეტის ციხეში და, ბოლოს, ვანანდში იმკვიდრებს.

დანარჩენი წყაროების თანმიმდევრობით მოხმობისას შემდეგი სურათი იკვეთება: ვარდან არეველცი (XIII ს.) კვლავ იმეორებს ვანანდეცის მიერ შეკრებილ და უკვე ერთ მთლიანობად აღქმულ თხრობას, მხოლოდ უმატებს იმასაც, რომ ბოლოს ჯვარი ანისში გადაიტანეს, სადაც დაიკარგა კიდევ თათართა შემოსევების შედეგად²⁰.

ყველა შემოთმობიანი ცნობა შეაჯამა მიქაელ ჩამჩიანმა; დაუმატა სომხური მრავალთავეებისა და სვინაქსარების მონაცემები; აღნიშნა ისიც, რომ შუშანიკი იყო მცხეთის მმართველის – ვარსკენის ცოლი; რომ ქმრის განდგომის შემდეგ დედოფალი იძულებული გახდა მცხეთიდან გამოეტანა წმ. ნინოს ჯვარი და სხვა სიწმიდეები; ბერ ანდრიას ჩააბარა, რომელიც დედოფლის გავარში – ტარონში უნდა გამგზავრებულიყო, მაგრამ არეულობის შედეგად დანიშნულების ადგილამდე ვერ ჩააღწია და სპერში დარჩა.

უკვე ცნობილ ინფორმაციას მ. ჩამჩიანმა დაურთო ისიც, რომ მოგვიანებით, უკვე ტარონში ყოფნისას, ჯერის მოსაპოვებლად ბერძენებმა გამოილაშქრეს, მაგრამ დამარცხდნენ, თანაც ისე, რომ სომეხთა ლაშქარმა ბერძენი მხედართმთავარი ტყვედაც კი ჩაიგდო²¹.

თუკი ყურადღებით გადავხედავთ მოტანილ მასალას, აშკარაა, რომ რამდენიმე სხვადასხვა ჯერის შესახებ თხრობა ერთმანეთშია არეული: თავდაპირველად იწყებენ მცხეთაში ჯერის აღმართვით²², შემდეგ აგრძელებენ შუშანიკის

სვეტი გამოჩნდა; საამო სურნელებით აავსო მთა, მოისმოდა გალობის ტკბილი ხმა, ამობრწყინდა სხივი, იმ ხის ჯერის მსგავსი, იგივე ზომისა და მოყვანილობისა, რომელიც აღიმართა მის თავზე თორმეტი ვარსკელავეითურთ. ამის დანახვაზე ყველანი მოიქცნენ სარწმუნოებაზე და თავყვანი სცეს ჯვარს, რომელიც ამის შემდეგ სასწაულებრივად კურნავდა კიდევ.”ძე. სომხურიდან თარგმნა, შეს. და შენიშვნები დაურთო ალ. აბდალაძემ, თბ., 1984, გვ.171-172.

¹⁹ ი. აბულაძე, სომხური და ქართული ლიტერატურული ურთიერთობა, 0172-0173, ნ. ჯანაშია, შუშანიკის წამება, გვ.112. ალიშანის ნუსხის სათაური ოდნავ სხვაობს მისგან: “მოთხრობა ნინოს წმიდა ნიშისა, ქართლის წინამძღვრისა, მამისა აპარონ ვანანდეცისა ლეონტი ხუცის შვილიშვილისა, იჯაევანის სოფლიდან. დიდი შრომითა და ძიებით გამოკვლეული სომეხთა და ქართველთა მათიანიდან”. იქვე, გვ.112

²⁰ ვარდან არეველცი, მსოფლიო ისტორია, თბ. 2002, გვ.132-133.

²¹ მ. ჩამჩიანი, სომხეთის ისტორია, ტ. II, გვ.87 და 549.

²² ქართლში ჯერების აღმართვის შესახებ იხ. ქვემოთ, გვ.8

თავგადასაქმებით და ამთავრებენ საკითხავენის მონაცემებით რომელიღაც ქართულ ჯვარზე: ეს სახეებით ნათლად ჩანს თუნდაც იქიდან, რომ ხორენაცის 'ისტორიაში' დასახელებული და შემდეგ სხვებთან სიტყვასიტყვით გამეორებული ჯვარი დიდია, იმდენად, რომ იგი მდინარის მეორე ნაპირიდანაც ჩანს და ადგილობრივი მცხოვრებლები თავიანთი სახლების სახურავებიდან სცემენ მას თაყვანს. ის ხისგან დამზადებული სადა ჯვარია და ამის გამო მოსახლეობის უკმაყოფილების შემდეგ მას ორნამენტებით ამკობენ. ამგვარ აღწერილობას თანხვდება ქართული წყაროების მონაცემებიც²³. საფუძვლიანად განსხვავდება მისგან თხრობათა მეორე ნაწილში დასახელებული სიწმიდე: იგი ძალიან ბევრს მოგზაურობს ამა თუ იმ პუნქტიდან და სულაც არ ჰგავს იმას, რომლის ხილვაც მდინარის გაღმა მხრიდან ან სახლების სახურავებიდან არის შესაძლებელი, ან რომლის აღმართვაც შიშველი მთის წვერზე მოსახერხებელი იქნებოდა ქვეყანაში ქრისტიანობის გამარჯვების ნიშნად. სომხურ წყაროებში მას რამდენიმე სახელწოდება აქვს: ნინოსი, ვანანდისა, შუშანიკისი და ჯოჯიკისა²⁴. ეფიქრობთ, რომ თითოეული მათგანი სხვადასხვა ჯვარია და ამა თუ იმ პერიოდში სხვადასხვა მიზეზის გამო მოხდა მათ შესახებ თხრობათა გაერთიანება.

მიუხედავად იმისა, რომ პლატონ იოსელიანს მეცნიერი თხრობას ვაზის ჯვრის ისტორიით იწყებს და აგრძელებს აქ დასახელებულ ისტორიკოსთა მონაცემებით, მაგრამ უმატებს იმასაც, რომ ვანანდიდან სიწმიდე დპროვანქში (შირაკის მხარის მთაზე) მოხვდა, იქიდან კი აღთამარში. იმასაც ასკვნის: ამ პერიოდში ჯვარმა ჯოჯიკისას სახელწოდება მიიღო და სანამ კვლავ გააგრძელებდა მცხეთის ჯვრის შესახებ სომხურ წყაროებში მოძიებულ თხრობას, ვაზის ჯვრის მიერ აღსრულებულ სასწაულს ეყება, რომლის მიხედვითაც მან ქართველი მეფის დიმიტრის (სტეფანოს I-ის ძმა (600-619)) ცოლი კეთრისაგან განკურნა. ესეც არ ჩანს არც ერთ სემოთსხენებულ სომეხ ავტორთან ქართული ჯვრის შესახებ საუბრისას. საქმე ისაა, რომ ვარდან არეველცისთან და, შესაბამისად, ჩამჩიანთანაც არის თხრობა კიდევ ერთი ქართული თუ არა, ყოველ შემთხვევაში, საქართველოსთან დაკავშირებული ჯვრის შესახებ. იგი ღმრთისმშობლის სახელობისა ყოფილა და ვარძიისა ანუ ჭონიაცის ეწოდებოდა. ეს ჯვარი დპროვანქიდან საქართველოში უცხოტომელთაგან დასაცავად სარგის ჭონიაცს წაუღია. ვარდანი ამბობს, რომ ბევრი სასწაული უქნია ჯვარს ტიმოთე ვარდაპედის ხელით, მაგ., ქართველთა მეფის დემეტრეს ცოლი განიკურნა კეთრისაგან. მოგვიანებით იგი ისევე სომხეთში გადაუტანიათ. მას მარჯვენა მხარეზე სომხური წარწერა ჰქონია და დაფარული ყოფილა ოქროთი.

უცნობია, რატომ ეწოდება ჯვარს ვარძიის, თუმცა ამ შემთხვევაში ამას არა აქვს განსაკუთრებული მნიშვნელობა. მთავარი მხოლოდ ის არის, რომ ქართული მასალა, სომხური ვერსია და მოგვიანებით ჩვენში გავრცელებული თხრობა განსხვავდება ერთმანეთისაგან.

ახლა კი კვლავ პლატონ იოსელიანი: მან, როგორც შევნიშნეთ, პირველმა ჩამოაყალიბა ვაზის ჯვრის შესახებ ჩვენში გავრცელებული ვერსია, როგორც ჩანს, აიღო ჩამჩიანის მიერ თავმოყრილი ისტორიებიდან ნუნეს ჯვრის ამბავი, მას დაუმატა სომხურ წყაროებში დაცული ცნობა ვარძიის ჯვრის შესახებ, შეავსო ქართული საისტორიო მასალით, ჩამოაყალიბა საკუთარი თვალსაზრისი და, საბოლოოდ, ამ წყაროთა შეზავების საფუძველზე გამოვიდა, რომ დღეს

²³ იხ. იქვე, გვ.8.

²⁴ П. Иоселиани, დასახ. ნაშრ., გვ.122.

სიონში დაცული ვაზის ჯვარი საუკუნეების მანძილზე სომხეთში მოგზაურობდა, ქეზობელი ერის ნაციონალური სიწმიდეც გახდა და მრავალი საუკუნის შემდეგ კვლავ დაუბრუნდა სამშობლოს²⁵.

გარდა იმისა, რომ მოხდა მასალის არამართებული გაასრება, ეფიქრობთ, გაუგებრობა უნდა შეექმნა იმასაც, რომ სომხურ წყაროებში დასახელებულ ჯვარს ნუნესი (ნინოსი) ეწოდება. საკმარისია თუ არა ეს იმისათვის, რომ იგი „ქართლის ცხოვრებაში“ დასახელებულ და ჩვენთვის ცნობილ ვაზის ჯვრად ვაღიაროთ? შესაძლებელია თუ არა დღეს ამ ჯვრის იდენტიფიკაცია?

თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ენანდეცი სრულიად აშკარად მცხეთაში აღმართულ დიდ ჯვარს უწოდებს ნინოსას, როდესაც ამ თხრობის პირველ წყაროში მსგავსი არაფერი წერია (იქ მას პირდაპირ მცხეთისა ეწოდება) და მას ესტიმოდ იმეორებს ყველა მომდევნო ისტორიკოსი, ამ ტერმინის სანდოობა სათუთაა.

რაც შეეხება მეორე კითხვას – თუკი ყურადღებით დაეაკვირდებით ქართულ წყაროებს, რამდენიმე ჯვარი იკვეთება, რომლებიც საერთო-სახალხო თაყვანისცემის საგანი გამხდარა:

1. უშუალოდ ქართველთა წინამძღოლად აღქმულია ვაზის ჯვარი, რომელზეც უკვე ვისაუბრეთ.

2. ახლადმოქცეული ქართლის მეფე და „მოდუნარი ქართველთა“ – წმიდა ნინო აგზავნიან ბიზანტიის იმპერატორთან ცნობას ქართლის მოქცევის შესახებ. მაშინ „...მოუწერა მეფემან კონსტანტინე მირიანს წიგნი ლოცვისა და კურთხევისა და ღუთისა მადლობისა და წარმოსცა ჯვარი და ხატი მაცხოვრისა და მისთანა ნიჭი დიდი და ელენე დედოფალმან მოუწერა წიგნი ქებისა და ნუგეშინისცემისა...“²⁶. რა ბედი ეწია შემდგომში ამ ჯვარს, არ ჩანს, ვინაიდან სხვაგან არსად არის საუბარი ამ ჯვარსა და მაცხოვრის ხატზე.

3. მოგვიანებით, ქართლის მეფე კვლავ წერს წერილს კონსტანტინეს და სთხოვს გამოუგზავნოს თვით ძელიცხოვლის ნაწილი. მაშინ „სიხარულითა მიანიჭა იმპერატორმა ძელი ცხოვრებისა და ფიცარნი იგი, რომელსა ზედა ფერხნი დაუმსჭუალნეს უფალსა და სამსჭუალნი ხელთანი...“²⁷. ამათგან საქართველოში შემოსულ მისიონერებს სამსჭუალნი დაუტოვებიათ ერუშეთში, სადაც ახალი ეკლესიის შენება იყო განზრახული, ფიცარნი კი – მანგლისში, რითიც მეტად უკმაყოფილო იყო მირიანი; ბიზანტიიდან გამოგზავნილი უდიდესი მნიშვნელობის სიწმიდეები ჯერ დედაქალაქში უნდა ჩამობრძანებულიყო.

4. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ქართველთა მოქცევის ამსახველ მასალაში მცხეთაში აღმართული ჯვრების ისტორიას. მას ხშირ შემთხვევაში ცალკე თავი ეთმობა და ბევრგან დამოუკიდებელ საკითხავადაც არის გატანილი²⁸.

²⁵ უფრო მართებული იქნებოდა გეეფიქრა, რომ პ. იოსელიანს აერთოდ არ უსარგებლია სომხური წყაროებით (ცნობილია, რომ მან სომხური არ იცოდა), არამედ ისარგებლა მ. ბროსეს ნაშრომით, რომელიც მის წიგნზე გარკვეული ხნით ადრე უკვე გამოსული იყო. (იხ. *Aditions et Eclaircissements A' L'Histoire de la Georgie Depuis l'antiquite jusqu'en 1469 de j.-c. par M. Brosset, Membre de l'Academie Imperiale des sciences, St.-Petersbourg, 1851, გვ.76-77*) თუმცა კი ბროსეს არსად აქვს აღნიშნული, რომ მის მიერ მოძიებულ და დამუშავებულ მასალაში ჩვენთვის საინტერესო ჯვარზეა საუბარი.

²⁶ ქართლის ცხოვრება, გვ.143.

²⁷ ქართლის ცხოვრება, გვ.144.

²⁸ კლარჯული მრავალთავი, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა და გამოკლევა დაურთო თ. მგალობლიშვილმა, თბილისი, 1991, გვ.344-347.

„მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ში სულ მცირე ოთხჯერაა გამეორებული თხრობა მცხეთაში ჯერის აღმართვის შესახებ. პირველად „ქრონიკაში“ მოკლედ არის აღნიშნული, რომ ქართლის მეფემ ბრძანა სამი ჯერის გაკეთება: „ერთი ჯუარი აღმართა მირიან მეფემან მთასა ზედა მაღნარისასა, რომელსა პრქჳან თხოთისა, და ერთი-გი მახლობელად პატიოსნისა ჯუარისაჲე“²⁹. შემდეგ უფრო დაწერილებით ეკითხულობთ მისი აღმართვის ისტორიას: ქართლის დედაქალაქში ქრისტიანობის გამარჯვების აღსანიშნავად, აღსამართი ჯერისთვის სასწაულებრივი ხე მოჭრეს. სასწაულის შემდეგ, რომლითაც უფალმა მორწმუნეებს ამ ჯერების აღმართვის ადგილი უსვენა, ერთი დამკვიდრდა თხოთის მთაზე, ერთი – უჯარმაში (მიუხედავად იმისა, რომ სასწაულებრივი ნათელი ბოდუზე გაჩერდა) და ერთი მცხეთის ერთ-ერთ ბორცვზე, ნინოს მიერ არჩეულ ქვაზე აღიმართა. ამ მოვლენიდან მესამე წელს რეგმა ჯერისთვის „შექმნა კუბოჲ“³⁰. მესამეჯერ ჯერების აღმართვის და მათთან დაკავშირებული სასწაულების გადმოცემის შემდეგ ავტორი აღნიშნავს, რომ ჯერისთვის „გუმბადი აღაშენა მცხეთისაჲ რეჳის ქემან, და წლითი-წლად მოვიდის და აღასრულის მსახურებაჲ იგი პატიოსნისა ჯუარისაჲე“³¹. ცალკე გატანილ თავში აღნიშნულია ექვსი კონკრეტული სასწაული, რომელიც ამ ჯვარს მოუხდენია. აქვე აღნიშნულია, რომ იგი ბევრ სხვა სასწაულებსაც ახდენდა: ბრძმებს თვალებს უხელდა, ავადმყოფებს კურნავდა, მკედარს აღადგენდა, უშვილოთ ეწეოდა.

ოთხივე თხრობის შეჯერებამ შემდეგი სურათი გვიჩვენა:

I თხრობა: მცხეთაში აღმართული სამი ჯერიდან სახელდება მხოლოდ ორი: უჯარმა ნახსენები არ არის. ჯერის აღმართვის ინიციატორია წმიდა ნინო და ეპისკოპოსი; მონაწილეობენ რევი, რომელიც წავიდა საჯვარე ხის სანახავად და მთავარდიაკონი, რომლის კონსულტაციებითაც გაკეთდა ჯვარი.

II თხრობა: ცალკე თავად არის გატანილი და მიეწერება იაკობ მღვდელს და ითანე მთავარეპისკოპოსს; მითითებულია ხის მოჭრის (26 (კე) მარტი, პარასკევი), ეკლესიაში მისი დაბრძანების ხანგრძლიეობის (37 დღე), ჯერების გამოჭრის (პირველი მაისი) და ჯერის აღმართვის თარიღები (შვიდი მაისი). ასევე მისი კლდეზე აბრძანებისა და ნინოს ბრძანებით მისი აღმართვის პროცესი.

III თხრობა: ეს ნაწილიც ცალკე თავად არის გამოყოფილი, მაგრამ იგი მნიშვნელოვნად სხვაობს სხვათაგან: ა. უმთავრეს განსხევეებას წარმოადგენს ნინოს დამსახურების სრული უგულებელყოფა ჯერების აღსამართად, ბ. არაფერია ნათქვამი ხის სასწაულთმოქმედ ძალაზე, ასევე ხის მოჭრაში რევის მონაწილეობაზე; გ. არის არა სამი, არამედ ერთი ჯვარი, შესაბამისად კი არ ჩანს ჯვართან დაკავშირებული ის ცნობილი სასწაული, რომელიც ყველა ქართულ წყაროში მეორდება. დ. ჯვარს აღმართავენ საბერძნეთიდან ჩამოსული მღვდლების რჩევითა და დახმარებით. ე. ჯვართან, უფლის შეწვენაზე, ლოცულობს მირიანი და არა ნინო (ნინო მხოლოდ ერთხელ არის ნახსენები: მირიანის ლოცაჲში ბერძენ მღვდლებთან ერთად)³². ე. სასწაულთა რაოდენობა გაც-

²⁹ ძველი ქართული..., წიგნი I, გვ.86.

³⁰ იქვე, გვ.86-91.

³¹ იქვე, გვ.156.

³² ლოცვა, რომელსაც აქ მირიანი აღაულებს, სარწმუნოების სიმბოლოს შეიცავს და წარმოთქვამს არა ქართველთა განმანათლებელი, არამედ მეფე, მით უფრო, რომ იგივე ლოცვა, გარკვეულად სახეცვლილი, ჩანს „ქართლის ცხოვრებაში“ ოლონდ იქ მას წარმოთქვამს წმ. ნინო. ანუ ღმერთთან შეუამაულობის ფუნქცია აკისრია არა მის მოციქულს, არამედ მოციქულის მიერ მოქცეულს. იხ. „ქართლის ცხოვრება“, გვ.118-119.

ილებით მეტია, ვიდრე სხვაგან. ზ. მოულოდნელად ავტორს უნდებია სურვილი წარმოადგინოს რეუი, როგორც ახალი პერსონაჟი: „მას უამსა იყო ვინმე კაცი ერთი მოშიში ღმრთისაჲ, რომელსა სახელი ერქუა რეე, ძმ მეფისაჲ“. (გვ.155). თ. ორი სასწაული, რომელიც სხვაგან ხვეტს მიეწერება, აქ ჯვართან დაკავშირებით არის მოტანილი: 1. შობითგან ბრმის და 2. სასიკედილოდ განწირული სეფეწულის განკურნება. ყოველივე ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს ცნობილ თვალსაზრისს იმის შესახებ, რომ ეს თავი „დამოუკიდებელი ნაწარმოებია“³³.

IV თხრობა: ამ მონაკვეთის სათაურია ‘წიგნი, რომელი დაწერა მირიან მეფემან ქართლისაჲმან უამსა სიკუდილისა მისისასა’, კვლავ მეორდება ჯერის აღმართვის უფრო გავრცელებულ ვარიანტი.

იმასე, რომ მცხეთაში აღმართული ეს ჯვარი უმნიშვნელოვანესი იყო არა მხოლოდ ქართველთათვის, მოწმობენ არაქართული წყაროებიც. „ეპისტოლეთა წიგნი“ აღნიშნულია, რომ ორ ერს შორის განხილვად სარწმუნოებრივ განხეთქილებამდე სომეხთა და ქართველთა შორის მთავარი მაკავშირებელი მომენტი ცურტაჲ იყო: „სარწმუნოების ერთობას და ორთავე წყენი ქვეყნის მასპინძლობას ცურტაჲის ეკლესია ურყევი შუმაველობით იცავდა, სადაც სიყვარული, ხორციელი მოყვრობა და სულიერი ზიარება სრულდებოდა შეგებით აღსავსე სიხარულით“³⁴. ხოლო ჯვარი – ორივე ერისთვის საერთო სიწმინდე: „აქედან მცხეთაში ჯვარს მიდიოდნენ და მანდედან წმინდა კათოლიკეს [მოდოდნენ]“³⁵. ხოლო როცა განხეთქილების საშიშროება აშკარად ჩანდა, სომეხი მოღვაწეები აფრთხილებდნენ ქართველებს, რომ ეს, პირველ ყოვლისა, მათი ურთიერთობის ამ კუთხეს შეეხება: „ეხლა არა ჯერ არს, რომ თქვენმა სიწმინდემ უცხოობა ჩამოაგდოს ორ ქვეყანას შორის და განაშოროს სიყვარული, ხორციელი მოყვრობა და სულიერი ზიარება, რომ არავინ მოვიდეს მანდ საღოსცაჲდ მაგ წმინდა ჯვარს და მანდედან წმინდა კათოლიკეს“³⁶ – წერს სომეხთა კათალიკოსი აბრაამი ქართლის ეკლესიის საჭეთმკურობელს კირონს. იმავეს იმეორებს ვრკანის მარზპანი სმბატი: „...ხოლო შეცვლით მტრობას აგდებთ [წვენ] შორის, მეტად კი ნაკლოვანებას, რომ აქედან შევაფერხოთ წვენც, რომელთაც სურთ მოვიდნენ და თაყვანი სცენ მაგ წმინდა ჯვარს და არ შემოეუშეათ, რომელნიც მოდიან მანდედან წმინდა კათოლიკე ეკლესიაში, და სხეა სამარტვილეში ილოცონ“³⁷. თავის მხრივ, კირონი ხშირად მოკითხვისას მცხეთის ჯვრით ლოცავს წერილის ადრესატებს და სმბატის ბრალდებებზე, რომ ისინი ედარ ჩამოდინა ჯერის თაყვანსაცემად იმის გამო, რომ ქართველებმა შეცვალეს ცურტაჲში ადრე არსებული მსახურების სახე, კირონი მახვილგონიერულად პასუხობს, რომ სომეხებმა ქართველებთან ურთიერთობას არსიეს მათ შორის შუღლის ჩამომგდები მოსესთვი ერწმუნათ, ამ დროს კი თვით სმბატიც მცხეთის ჯერის სასწაულით ყოფილა გაჩენილი: „...ხოლო თქვენ მას ერწმუნეთ და მისი სიტყვით დაიშალეთ წვენთან მოსელა, რომ თაყვანი გეცათ მცხეთის პატიოსნისა და ცხოველმყოფელი წმინდა ჯერისათვის, რომლისაგან ევედრნენ რა, მიენიჭე შენს მამასა და დედას. მის წინაშე აღიზარდე და სიკეთეს ეწიე.

³³ იხ. ზ. ალექსიძე, „მოქცევაჲ ქართლისაჲ“ და მცხეთის ჯვარი პოსტამენტის წარწერა; კრებულში „ზურაბ ტუმბურიძე“, თბ. 1997, გვ.15.

³⁴ ეპისტოლეთა წიგნი, სომხური ტექსტი ქართული თარგმანით, გამოკვლევითა და კომენტარებით გამოსცა ზ. ალექსიძემ, „მეცნიერება“, თბ. 1968, გვ.66.

³⁵ იქვე, გვ.66

³⁶ იქვე, გვ. 67

³⁷ იქვე, გვ.75.

თუმცაღა თქვენ არ მოხედით თაყვანისსაცემად, მაგრამ ჩვენ მუდამ ლოცვაში გიხსენებთ ამ წმინდა ჯვრის წინაშე“ და ბოლოს კვლავ პატიუბს მცხეთაში ჯვრის თაყვანისსაცემად³⁸. საინტერესოა ამ მონაკვეთის ეორტალოგიური სურათი, როდის იყო გაგზავნილი ეს წერილი, ვინაიდან შესაძლოა ჯვრის დღესასწაული არის მოახლოებული, ამიტომაც იწვევენ მათი საერთო სიწმიდის თაყვანისსაცემად სომხებს. „ეპისტოლეთა წიგნში“ სომხები რამდენიმეჯზის ითხოვენ შეხვედრას აღდგომის შემდეგ დღეებში, ხოლო „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს მიხედვით ქართული ჯვრის დღესასწაული აღვსების ზატიკის ზატიკს დაინიშნა³⁹.

საბოლოოდ, როცა მაინც მოხდა განხეთქილება ქართველთა და სომეხთა შორის, სომხებმა პირველ რიგში აუკრძალეს საკუთარ ხალხსაც და აღბანელებსაც „სალოცაჲად წასელა ჯვარში“⁴⁰.

თუკი ამ ჯვარზეა საუბარი, ან მასში მოთავსებულ რომელიმე სხვა წმიდა ჯვარზე (ეს ხომ VII საუკუნეა), მაშინ როგორ მოხედებოდა იგი წმ. შუშანიკთან? თანაც, „ეპისტოლეთა წიგნში“ გაკვერთაც კი არსადაა ნახსენები, რომ ქართული ჯვარი, რომელიც საერთო სიწმიდე უნდა იყოს ორივე ერისთვის, სომხეთშია. თანაც სწორედ ამ ჯვართან ერთად ახსენებს შუშანიკს. იგი რომ მართლაც სომხეთში ეოფილიყო, იმ მნიშვნელობის გათვალისწინებით, რასაც მას მოგვიანო ხანის ისტორიკოსები ანიჭებენ, მოლაპარაკების მთავარი ფაქტორი ორ ერს შორის ეს ჯვარი იქნებოდა.

5. მირდატის მეფობისას იწყო მოსახლეობამ დინება სვეტიცხოველში. ისინი სვეტს როგორც დიდ სიწმინდეს ნაწილს აცლიდნენ და მისგან ჯვრებს აკეთებდნენ. მეფე ამას არ კრძალავდა, ვინაიდან იაკობ ეპისკოპოსმა ბრძანა: „მინიჭებულ არს ღუთისაგან და ჯერ არს სუეტისა მის ღუთიე აღმართებულისა ქმნად სახედ ჯუარისა და განეფინა ყოველთა ადგილთა ქართლისათა ნაწილი სუეტისა ცხოველისა.“⁴¹. ამის შემდეგ საყურადღებო ცნობა მოდის: „მაშინ ამან მეფემან მირდატ მისვე სუეტისაგან შექმნა ჯუარი და რომელი გადარნა სუეტისა მისგან ცეცხლისა, მას გარე მოაქმნა ქვითკირითა პირუელ სუეტსა ოდნად და თავსა ზედა მის სუეტისასა აღმართა ჯუარი იგი ძელი განმაცხოველებელი...“⁴².

6. ნებისმიერ ადგილას, რომელიც ქრისტიანული თვალსაზრისით გარკვეულ ღირსშესანიშნაობას წარმოადგენდა, ნიშის სახით პირველ რიგში ჯვარს დგამდნენ; შემდეგ ეს ნიში ან ასევე რჩებოდა, ან მის ადგილზე ტაძარს აშენებდნენ.

ვანანდუცისა და ვარძიის ჯვრის გაიგივება რომელიმე აქ დასახელებულთან ან ვაზის ჯვართან, შეუძლებელია. პირველი, კონსტანტინოპოლიდან ჩამოსული ჯვრისა და ხატის ბედი საერთოდ არ ჩანს. მერე ჩამოსული ცხოველმყოფელი ჯვრის ნაწილები შეუძლებელია დაეუკაშიროთ ჩვენთვის საინტერესო ჯვრებს, ვინაიდან ა. სომხებს საკუთარი ეერსია კქონდათ ცხოველმყოფელი ჯვრის ნაწილების მათთან ჩამოსულის შესახებაც და ბ. ისტორიკოსებთან საუბარია ჩვეულებრივ ჯვარზე, რომელიც მოგზაურობს ერთი ადგილიდან მეორეზე, რომელსაც ათასი განსაცდელი გადახდა თავს... და არა მის ნაწილებზე. ვერ იქნება ის აგრეთვე მცხეთაში აღმართულ ჯვართაგან რომელიმე, ვინაიდან მათი ტარება, მათი დიდი ზომის გამო შეუძლებელი იყო. თუმცა კი ბოლო ორი ეერსიის დაშვება რეალობასთან უფრო ახლოსაა, ანუ ეს იქნებოდა ან მცხეთის ჯვართან დაკავშირებული რომელიმე ჯვარი, ან სვეტის ბაღდახ-

38 იქვე, გვ.78-79.

39 ძველი ქართული..., წიგნი III, გვ.154.

40 ეპისტოლეთა წიგნი, გვ.122.

41 ქართლის ცხოვრება, გვ.154.

42 იქვე, გვ.154.

ინისაგან გაკეთებული, ვინაიდან კვართის რელიკვიას არა მარტო ქართველები სცემდნენ თაყვანს. ან სულაც, ჯვრების რაოდენობა, შესაძლოა, გაცილებით მეტი იყო, ვიდრე ეს ქართულ მატრიანეშია დასახელებული. ცურტავს ხომ იმთავე ითვე დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ქართულ სამეფოში. შეიძლება დაგვეშვა, რომ ისევე, როგორც ყველა კუთხეში, სადაც ქართველ მოღვაწეებს ხელი მიუწვდათ, ქართლის გაქრისტიანების მომენტში აქაც ჯვარი გაიგზავნებოდა სამეფოში ქრისტიანობის გამარჯვების ნიშნად და ამას პრინციპული მნიშვნელობა მიენიჭებოდა, თანაც ეს სამეფოს ერთიანობის დასადასტურებლადაც საუკეთესო საშუალება იქნებოდა. ასეთ შემთხვევაში გასაკვირი სულაც არ იქნება, რომ შუშანიკმა მის გარდაცვალებამდე ცოტა ხნით ადრე იზრუნა მის გადარჩენაზე, როგორც ერთიანი სახელმწიფო სარწმუნოების და, შესაბამისად, ერთიანი, ცენტრალიზებული ქვეყნის გარკვეულ ნიშანზე⁴³.

თუკი ამ ეარაუდს გაეზიარებთ, ლოგიკური იქნებოდა გვეფიქრა, რომ სომხურ წყაროებში აღნიშნული ჯვარი სწორედ ქართულია და სწორედ ნინოსი, ოღონდ არა ვაზისა, არამედ სხვა, ერთი იმათგანი, რომლებიც საქართველოს უმნიშვნელოვანეს ადგილებში გაიგზავნა, ან დაიდგა.

მიქაელ ჩამჩიანის შემთხვევაში ცხადად ჩანს, რომ საქმე აშკარად მცდარ ინფორმაციასთან გვაქვს. ისტორიკოსისთვის არ არის ცნობილი V საუკუნის ქართლის გეოგრაფიულ-პოლიტიკური ვითარება, ამიტომ იგი უხეშ შეცდომას უშვებს და ვარსკენს მცხეთის გამგებლად ასახელებს.

კიდევ გავიმეორებ, რომ არც ერთი ქართული და უცხოური წყარო არ ადასტურებს მოცემულ ცნობებს. ამასთანავე, არც ვაზის ჯვრის შესახებ ქართული თხრობა დასტურდება რომელიმე უცხოურ წყაროში.

ერთი მხრივ, ჯვარზე არაფერს გვაუწყებს მელქისედეკ კათალიკოსის XI საუკუნის ცნობილი ისტორიული საბუთი, არც ერთი საკითხავე, რაც დაადასტურებდა სვეტიცხოველში მის არსებობას, მაგრამ არც იმისი დამადასტურებელი საბუთი არსებობს, რომ იგი სხვა რომელიმე ქვეყანაში იყო, თუნდაც სომხეთში.

შევაჯამებთ არგუმენტებს და დასკვნის სახით ვიტყვით, რომ არასწორი ინფორმაცია მოდის სომხური ისტორიული წყაროების არასწორი გაგებიდან. როგორც სომხური, ისე ქართული მასალა გვაწვდის ცნობას არაერთი ქართული თუ სომხური ჯვრის შესახებ, რომელთაგან სავარაუდოა, რომ ბევრს ჩვენამდე არც მოუღწევია. ადგილი აქვს ტერმინოლოგიურ და ფუნქციურ აღრევას. ამდენად, მიკერძოების გარეშე უნდა ითქვას, რომ ვაზის ჯვრის ტრადიციაში სანდოობის თვალსაზრისით უპირატესობა ძველ ქართულ მასალას უნდა მივაკუთვნოთ. მიუხედავად მისი სიმწირისა, იგი საშუალებას გვაძლევს გამოვიკეთოს ვაზის ჯვრის ისტორიის ნათელი სურათი. წერილობით ტრადიციას მხარს უმაგრებს ჩვენი ეკლესიის წიაღში დაცული ცოცხალი ზეპირი გარდამოცემა მის შესახებ, ხოლო არასწორი ინფორმაცია, რომელიც თავდაპირველად პ. იოსელიანთან გვხვდება და შემდგომ უკრიტიკოდ გაზიარებულია მოგვი-

43 ან შეიძლება ეს სულაც ის ჯვარია, რომელიც იაკობ ცურტაველის ცნობით, შუშანიკთან იყო დაცული: სიკედილის პირას მისული დედოფლის მოსანახულებლად მისული ჯოჯიკი მასთან „მძლავრ შეხლო-ვიდა და თაყუანის სცა პატიოსანსა ჯვარსა“. სომხურ ვარიანტში იმავე ადგილას ჯვრის ნაცვლად წერია „ნიში“ (იხ. იაკობ ცურტაველი, მარტვილობა შუშანიკისი, ქართული და სომხური ტექსტები გამოსცა, გამოკლევა, ვარიანტები, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო ილია აბულაძემ, თბილისი, 1938, გვ.114). ლოგიკური იქნებოდა გვეფიქრა, რომ ამ ჯვარმა, რომელსაც ასე მოწიწებით სცემს თაყვანს ჯოჯიკი, შუშანიკის გარდაცვალების შემდეგ განსაკუთრებული დატვირთვა მიიღო.

ანო ხანაში, მომდინარეობს სომხური წყაროების არასწორი ინტერპრეტაცი-
ოდან.

Ketevan Asatiani

From the History of Vine Cross

Conversion of Kartli and *Vitae of St. Nino* tell of the Vine Cross, which St. Nino made by her hands. As evidenced by the same sources, it was at first embodied in the Holy Cross of Mtskheta and later moved to the family of King Mirian. After this, Vine Cross is mentioned by the 18th-19th cc. Georgian authors, who state that: in the 18th c., Archbishop Romanoz (from the family of Aragvi Eristavs) took the Vine Cross to Russia to hand it over to Prince Bakar; that rulers of Kartl-Kakheti made efforts for its return to Georgia; that finally, in 1802, Alexander I, emperor of Russia, sent the cross back to Tbilisi. Later, P. Ioseliani recorded that Vine Cross was kept in Armenia and his statement was repeated over decades by many historians and archaeographers. As ascertained, P. Ioseliani's statement is based on an incorrect interpretation of the Armenian sources. M. Chamchyan, who had collected data of various Armenian sources regarding crosses, mentions two crosses of the Georgian provenance: "Choniatsi" = Vardzia Cross and Nino's Cross, referring to Aharon Vanandetsi, Vardan Arveltsi and Vanakan Vardapetsi. Among these, Vanadetsi is the earliest and a source for others. According to him, Shushanik had taken Nino's cross (supposedly, the same one, which was erected on top of the mountain) to Armenia and finally it found itself in Vanant. From this place, as evidenced by Vardan Arveltsi (13th c.), the Vine Cross was moved to Ani, where it was lost during the Mongol invasion. M. Chamchyan also added confusing notes on Shushanik.

It seems most likely that Armenian sources refer to several different crosses. One – according to Movses Khorenatsi, erected on top of the mountain, seems to be large; others – those of Nino, Vananti, Shushanik and Jojiki, are definitely small. P. Ioseliani, having combined evidences of various Armenian sources quoted by M. Chamchyan, wrote a history of the Vine Cross, including its century-long stay in Armenia. Noteworthy is that Georgian sources mention several crosses of nationwide significance, connected with St. Nino: a. Vine Cross; b. Cross sent to Kartli by Constantine the Great; c. Relic of the True Cross sent to Kartli by the same emperor; d. Cross erected on top of the mountain in Mtskheta, which has acquired special significance (*Conversion of Kartli* refers to it four times). If this is Nino's Cross (as named by Vanandetsi, although Movses Khorenatsi, the source for the former, calls it Mtskheta Cross), it could not have fallen to Shushanik's hands; and if she would have possessed it, this fact (as well as well as embodiment of the Vine Cross in it) would have been reflected in the *Book of Epistles*. Neither grounded seems to be identification of "Georgian crosses" mentioned in Armenian sources with St. Nino's Cross or any other cross known from the Georgian literary sources and hagiography.